წერილის ნომერი: **11-01202664178**
თარიღი: **22/09/2020**
პინი: **6376**

ადრესატი: შპს აპარტ დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405329764
მისამართი: ბუხაიძის 1 შესახვევი #6

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ასლი:

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, თქვენს 2020 წლის 31 აგვისტოს №10/01202441335-11 განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ითხოვთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებას, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2010 წლის 15 თებერვლის №386 განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 18 სექტემბრის №16-0120262453 წერილისა და თანდართული დოკუმენტების მიხედვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2010 წლის 15 თებერვლის №386 განკარგულებით გათვალისწინებულ ობიექტზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.054.046; ფართობი 1430 მ^2), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს **518,613.33 (ხუთასთვრამეტი ათას ექვსასცამეტი ლარი და 33 თეთრი) ლარს**:

$$X = L / K2 * ((K_2^1 – (K2+ K2\text{-ის } 20\ \%)) * S$$

$$320 : 1,5 * ((3,5 – (1,5 + 0,3)) * 1430 = \mathbf{518,613.33\ ლარი}$$

სადაც:

ა) X არის მოსაკრებლის ოდენობა;

ბ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისას არსებული 1 მ^2 მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი L არის - 320 ლარი;

გ) მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K_2^1 არის - 3,5;

დ) მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K2 არის - 1,5;

ე) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი S არის - 1430 მ^2.

გადახდის რეკვიზიტები:

· **მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსულობები;**

· **ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 300 77 3191 „მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის“;**

· **გადახდის დანიშნულება: ბრძანების ნომერი, საკადასტრო კოდი და დამატებითი ინფორმაცია.**

რაც შეეხება თქვენს 2020 წლის 31 აგვისტოს №10/01202441630-11 დამატებით განცხადებას, სადაც ითხოვთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებას K_2^1=1,7 კოეფიციენტის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ კოეფიციენტის ცვლილების საკითხზე თქვენ უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი:

· ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 2020 წლის 1 სექტემბრის №11-01202452060 წერილი;
· ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 18 სექტემბრის №16-0120262453 წერილი.

გაიოზ თალაკვაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი